

# უცხოური ვალუტა

## მოქმედების სფერო

- 17.1 წინამდებარე განყოფილება ეხება უცხოურ ვალუტაში გამოსახული ოპერაციების აღრიცხვას.
- 17.2 საწარმოების სამუშაო ვალუტა და წარსადგენი ანგარიშგების ვალუტა არის ეროვნული ვალუტა.
- 17.3 უცხოური ვალუტით გამოსახული ოპერაცია არის საწარმოს მიერ შესრულებული ოპერაცია, რომელიც გამოსახული არ არის ეროვნულ ვალუტაში.

უცხოური ვალუტით გამოსახული ოპერაციების გავრცელებული მაგალითებია:

- 1) საქონლის და/ან მომსახურების ყიდვა უცხოელი მომწოდებლებისგან, რომლებიც ეროვნული ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში აგზავნიან ანგარიშს ანგარიშსწორებისთვის;
- 2) საქონლის და/ან მომსახურების გაყიდვა უცხოელ მომხმარებლებზე, რომლებსაც საანგარიშგებო საწარმო ანგარიშსწორებისთვის ანგარიშს ეროვნული ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში უგზავნის;
- 3) ეროვნული ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში სესხის მიღება ან სესხის გაცემა;
- 4) უცხოური ვალუტის ყიდვა ან გაყიდვა, ანუ ეროვნული ვალუტისგან განსხვავებული ნებისმიერი ვალუტის.

## უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების ანგარიშგება ეროვნულ ვალუტაში

- 17.4 საწარმომ უცხოური ვალუტით გამოსახული ოპერაცია თავდაპირველი აღიარებისას უნდა გადაიყვანოს ეროვნულ ვალუტაში, რისთვისაც თავდაპირველი აღიარების თარიღით უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ უნდა გამოიყენოს ოპერაციის თარიღის მდგომარეობით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსი. ოპერაციის თარიღად მიიჩნევა თარიღი, როდესაც ეს ოპერაცია პირველად დააკმაყოფილებს წინამდებარე სტანდარტის სხვა შესაბამისი განყოფილების აღიარების კრიტერიუმებს.

### 17.5 ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმო:

- (ა) უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები ეროვნულ ვალუტაში უნდა გადაიყვანოს საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსით;
- (ბ) თვითღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, უნდა გადაიყვანოს ეროვნულ ვალუტაში მათი აღიარების თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსით; და
- (გ) არაფულადი მუხლები, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ გადაფასდა (ხელახლა შეფასდა) უცხოურ ვალუტაში, უნდა გადაიყვანოს ეროვნულ ვალუტაში, გადაფასების თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსით.

#### ფულადი მუხლები

ფულადი მუხლი არის ფიქსირებული ან განსაზღვრადი რაოდენობის ვალუტის ერთეულების მიღების უფლება ან მიწოდების ვალდებულება. ფულადი მუხლების მაგალითებია სავაჭრო კრედიტი, სავაჭრო მოთხოვნა, სესხები, საბანკო ანგარიშები და დეპოზიტები, რომელთა ანგარიშსწორება ფულადი სახსრებით ხდება.

არაფულადი მუხლების მაგალითებია საქონელი, ქონება, ძრითადი საშუალებები და საქონლისა და მომსახურებისათვის გადახდილი ავანსები (რომლის ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის ან მომსახურების მიწოდებით).

*მაგალითი 1- უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა*

23/11/20X1 წელს A საწარმო საწარმოო მასალებს უკვეთავს B საწარმოს 10,000 ევროდ, მიმატებული 1,000 ევრო ტრანსპორტირებისათვის.

12/12/20X1 წელს საქონელზე კონტროლი გადადის A საწარმოზე.

13/01/20X2 წელს A საწარმო 11,000 ევროს უხდის B საწარმოს.

A საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი მთავრდება 31 დეკემბერს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსებია:

- 23/11/20X1 = 3.1000 ლარი : 1 ევრო
- 12/12/20X1 = 3.1201 ლარი : 1 ევრო
- 31/12/20X1 = 3.1322 ლარი : 1 ევრო
- 13/01/20X2 = 3.1245 ლარი : 1 ევრო

კომერციული ბანკის ლარი/ევრო გაცვლითი კურსი, რომელსაც A საწარმო

იყენებს უცხოურ ვალუტაში გადახდებისთვის, 13/01/20X2 წელს არის 3.1299 ლარი : 1 ევრო.

A საწარმო ამ შესყიდვას შემდეგნაირად აღრიცხავს.

23/11/20X1 წელს – არაფერი აღირიცხება, რადგან შეკვეთის გავზავნა აქტივის ან ვალდებულების აღიარებას არ განაპირობებს.

12/12/20X1 წელს – საქონლისა და სავაჭრო კრედიტის აღიარება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის გამოყენებით:

ანგარიში	დებიტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
მარაგი (11,000 ევრო გამრავლებული 3.1201-ზე)	34,321.10	
სავაჭრო კრედიტი		34,321.10

31/12/20X1 წელს – სავაჭრო კრედიტის ხელახლა შეფასება (რადგან ეს ფულადი მუხლია) საანგარიშებო თარიღით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ლარი:ევრო გაცვლითი კურსით (ანუ 11,000 ევრო x 3.1322 = 34,454.20 ლარი). შესაბამისად, სავაჭრო კრედიტის დასაფარი ნაშთი გაიზარდა 133.1 ლარით (34,454.2 ლარს გამოკლებული 34,321.1 ლარი). ეს სხვაობა არის უცხოური ვალუტაში გადაანგარიშების ზარალი, ანუ 20X1 წელს ხარჯი შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში შემდეგნაირად აღიარდება:

ანგარიში	დებიტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
სხვა ხარჯები: უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების ზარალი	133.10	
სავაჭრო კრედიტი		133.10

გაცვლითი კურსის ცვლილებას გავლენა არა აქვს მარაგის ნაშთზე, რადგან ეს პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლია.

13/01/20X2 წელს – სავაჭრო კრედიტის ანგარიშსწორება (გადახდა შეფასებულია კომერციული ბანკისთვის გადახდილი თანხით) შემდეგნაირად განხორციელდება:

ანგარიში	დებიტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
სავაჭრო კრედიტი	34,454.20	
ფულადი სახსრები (11,000 ევრო x 3.1299)		34,428.90
სხვა შემოსავალი: შემოსულობა უცხოური ვალუტის გადაანგარიშებიდან		25.30

მაგალითი 2- უცხოური ვალუტით გამოსახული ბანკის დეპოზიტი

01/01/20X1 წელს A საწარმომ კომერციულ ბანკში შეიტანა 30,000 ლარი,

ევროში გამოსახულ ვადიანი დეპოზიტის ანგარიშზე. დეპოზიტის ძირითადი თანხაა 10,000 ევრო და ბანკს 01/01/20X2 წელს A საწარმოსთვის 11,000 ევროს გადახდის (დაბრუნების) სახელშეკრულებო ვალდებულება აქვს. 01/01/20X2 წელს თავდაპირველი აღიარებისას A საწარმო ბანკის დეპოზიტს შემდეგნაირად აღრიცხავს:

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
სხვა მოკლევადიანი აქტივი: ბანკის დეპოზიტი ევროში	30,000	
ფულადი სახსრები		30,000

A საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი 31 დეკემბერს მთავრდება.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსებია:

- 20X1 წლის საშუალო კურსი არის 3.15 ლარი : 1 ევრო
- 31/12/20X1 თარიღის კურსი არის 3.1322 ლარი : 1 ევრო

20X1 წელს 1,000 ევრო პროცენტი ერიცხება A საწარმოს, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით (ანუ 20X1 წლის საშუალო კურსით) ლარში შემდეგნაირად უნდა გადაანგარიშდეს:

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
სხვა მოკლევადიანი აქტივი: ბანკის დეპოზიტი ევროში (1,000 ევრო x 3.15)	3,150	
საპროცენტო შემოსავალი		3,150

31/12/20X1 წელს – A საწარმო გადააფასებს ბანკის დეპოზიტს (რადგან ეს ფულადი მუხლია) საანგარიშგებო თარიღით საქართველოს ეროვნული ბანკის ლარი: ევრო ოფიციალური გაცვლითი კურსით (ანუ 11,000 ევრო x 3.1322 = 34,454.20 ლარი). ეს გადაანგარიშება 31/12/20X1 წელს შემდეგნაირად აღიქმება:

ანგარიში	დებეტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
სხვა აქტივი: ბანკის დეპოზიტი ევროში (34,454.2 ლარი – 30,000 ლარი – 3,150 ლარი)	1,304.20	
სხვა შემოსავალი: შემოსულობა უცხოური ვალუტის გადაანგარიშებიდან		1,304.20

01/01/20X2 წელს – A საწარმო ბანკისგან იღებს 11,000 ევროს რომელიც გადაანგარიშდება 33,800 ლარად. მიღებული ფულადი სახსრები შემდეგნაირად აღიქმება:

ანგარიში	დებიტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
სხვა ხარჯები: მარალი უცხოური ვალუტის გადაანგარიშებიდან (34,454.2 ლარი – 33,800 ლარი)	654.20	
ფულადი სახსრები	33,800.00	
სხვა აქტივი: ბანკის დეპოზიტი ევროში		34,454.20

### **საკურსო სხვაობით გამოწვეული ეფექტის წარდგენა ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში**

ზოგიერთი საწარმო ფლობს უცხოურ ვალუტაში განთავსებულ ფულად სახსრებს (ფულად მუხლებს), მაგალითად აშშ დოლარში განთავსებულ საბანკო დეპოზიტებს.

საწარმოს უცხოურ ვალუტაში განთავსებული ფულისა და ფულის ეკვივალენტების სავალუტო საკურსო ცვლილებებს შესაბამისი ზეგავლენა აქვს საწარმოს მიერ ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულ სიდიდეზე (ლარი).

შესაბამისად, იმისთვის, რომ საწარმომ დააბალანსოს პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს აღიარებული ფული და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება, მან უნდა გაითვალისწინოს უცხოურ ვალუტაში განთავსებული ფულადი სახსრების კურსის ცვლილებები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რადგან საწარმო ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, მან საანგარიშგებო თარიღისთვის უნდა გადაიანგარიშოს მისი უცხოურ ვალუტაში განთავსებული ფულადი სახსრების ეკვივალენტები ლარში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსით. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან მარალი საწარმომ უნდა აღიაროს შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში „სხვა შემოსავლების“ ან „სხვა ხარჯების“ მუხლის ქვეშ (იხ. პუნქტი 3.13).

საწარმო, რომელიც ნებაყოფლობით წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, მან ფულის და ფულის ეკვივალენტების სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან მარალი უნდა აჩვენოს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობებისგან განცალკევებით, სპეციალურ მუხლში „სავალუტო კურსის ეფექტი“ (იხ. პუნქტი 3.14).

### **მაგალითი 3- უცხოურ ვალუტაში განთავსებული ფულადი სახსრების ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებით გამოწვეული მოგება**

01/11/20x0 თარიღისთვის A საწარმომ საექსპორტო ბაზარზე არსებული მომხმარებლისგან მიიღო 1000 აშშ დოლარი მისთვის საქონლის მიწოდების სანაცვლოდ (ამონაგების აღიარების თარიღი).

A საწარმომ მიღებული 1,000 აშშ დოლარი განათავსა ბანკის ანგარიშზე

და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარა როგორც ფულადი სახსრები.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსებია:

- 01/11/20x0: 1 აშშ დოლარი = 2 ლარი
- 31/12/20x0: 1 აშშ დოლარი = 2.05 ლარი

ზემოთ მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით:

A საწარმომ 01/11/20x0 თარიღისთვის შემდეგი ბუღალტრული გატარებები უნდა შეასრულოს (მიუხედავად იმისა, რომ მას ფული არ დაუკონვერტირებია, აღრიცხვა მაინც ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში):

ანგარიში	დებიტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
ფულადი სახსრები <sup>(1)</sup>	2,000	
ნეტო ამონაგები - საქონლის გაყიდვიდან		2,000

(1) 01/11/20x0 თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის კურსი იყო 1 აშშ დოლარი = 2 ლარი. შესაბამისად, მიღებული ფულადი სახსრები და ნეტო ამონაგები საწარმომ უნდა აღიაროს ამ კურსით. ე.ი. 2,000 ლარი = 1,000 აშშ დოლარი x 2 გაცვლითი კურსი 01/11/20x0 თარიღისთვის.

ბუღალტრული გატარების თვალსაჩინოების მიზნით, გატარებაში არ არის ნაჩვენები ჯერ დებიტორული დავალიანების წარმოქმნა და შემდეგ მისი დაფარვა.

A საწარმომ 31/12/20x0 საანგარიშგებო თარიღისთვის, სავალუტო კურსის ცვლილების გამო, შემდეგი ბუღალტრული გატარებები უნდა შეასრულოს.

ანგარიში	დებიტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
ფულადი სახსრები	50	
სხვა შემოსავლები		50

შესაბამისად, 31/12/20x0 თარიღისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში A საწარმომ უნდა წარადგინოს:

- „ფულადი სახსრები“ 2,050 ლარი (ე.ი. 1,000 აშშ დოლარი x 2.05 გაცვლითი კურსი 31/12/20x0 თარიღისთვის);
- დაშემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში უნდა წარადგინოს:
- 50 ლარი „სხვა შემოსავლები“ (ე.ი. 1,000 აშშ დოლარი x 2.05 გაცვლითი კურსი 31/12/20x0 თარიღისთვის – 1,000 აშშ დოლარი x 2.0 გაცვლითი კურსი 01/11/20x0 თარიღისთვის).

A საწარმო ნებაყოფლობით წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას 31/12/20x0 საანგარიშგებო თარიღისთვის. აღწერილი მონაცემების

გათვალისწინებით A საწარმომ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში:

- 2,000 ლარი (ე.ი. 1000 აშშ დოლარი x 2 გაცვლითი კურსი 01/11/20x0 თარიღისთვის) უნდა აჩვენოს საოპერაციო საქმიანობის განყოფილებაში - „მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები“-ის მუხლში; და
- 50 ლარი (ე.ი. 1,000 აშშ დოლარი x 2.05 გაცვლითი კურსი 31/12/20x0 თარიღისთვის - 1,000 აშშ დოლარი x 2.0 გაცვლითი კურსი 01/11/20x0 თარიღისთვის) ზრდა საოპერაციო, საინვესტიციო, ფინანსური განყოფილებებისგან განცალკევებით მუხლში - „სავალუტო კურსის ეფექტი“.